



სალოგოზო ვერელო

1921 წლის
სექტემბერი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 20 კაპ.

ვინ რას გვთავაზობს

1. ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლებისადმი დაპირისპირებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დაუყოვნებლივი განიარაღება, ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემა.

2. დიპლომის დაწევა კანონიერების აღდგენით დაინტერესებულ ნებისმიერ პოლიტიკურ დაჯგუფებასთან ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემით.

3. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის სრული ამოქმედება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა რადიოთი და ტელევიზიით დაუყოვნებლივ მოუწოდოს საქართველოს მოსახლეობას სამოქალაქო მშვიდობისაკენ.

2. უმოკლეს ვადაში შედგეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა. უზენაესი საბჭოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განიხილულ იქნას პარლამენტის გარეთ მყოფი პოლიტიკური ძალების შეთანხმებული წინადადებანი.

3. უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განიხილულ იქნას პარლამენტის გარეთ მყოფი პოლიტიკური ძალების შეთანხმებული წინადადებანი.

4. პრეზიდენტმა და მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყონ მოწოდების შესაბამისად ქ. თბილისში ჩამოყვანილი მოსახლეობის დაბრუნება საცხოვრებელ ადგილებზე.

5. ეოვნული გეარდიის ნაწილები დაბრუნდნენ შენაბადაზე, უზენაესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე ამ ნაწილების სტატუსთან დაკავშირებით.

6. ხელისუფლების მხრიდან თბილისისკენ კონსტრუქციული დიალოგისათვის მზადყოფნის სასურველ წინაპირობად მიგვაჩნია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით დაკავებულ პოლიტპატიმართა განთავისუფლება.

7. მიეცეს, კანონის თანახმად, ტელევიზიით სარგებლობის უფლება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები:

ა. იმნაძე, ე. შენგელაია, გ. ჩორგოლაშვილი, ზ. კანდელაკი, მ. დვალისვილი, ა. სიჭინავა, ი. მელაშვილი, ნ. ლევიშვილი ვ. ადამია, ნ. ნათაძე, თ. დიხაძე, გ. კობეიძე მ. ურდია, ს. კავსაძე, რ. დონაძე, პ. კოლუაშვილი ა. მარგანი, დ. ბერძენიშვილი, დ. არევაძე, თ. პაატაშვილი, მ. კვანცილაშვილი, რ. გოცირიძე, ა. სილაგაძე, ა. ბობოხიძე, თ. დიხაძე, ვ. ჯაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადება

დღეს საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების პირობებში პოლიტიკურ ძალთა მწვავე დაპირისპირება ძმობა სისხლისღვრის უკიდურეს საშიშროებას ქმნის. მიგვაჩნია, რომ საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად და საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის დასამყარებლად.

ჩვენ სავესტით ვეთანხმებით და მხარს ვუჭერთ სრულიად საქართველო კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოწოდებას დაპირისპირებულ მხარეთა შორის დიალოგისა და მოლაპარაკების გამართვის შესახებ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს არის ერთადერთი გზა სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად.

დღის რეპორტაჟი

„მე მებრალეა ის ქართველი, ვინც ტყვიას მისვრის...“

რადგან ვინც არ უნდა იყოს იგი დღეს. — პრეზიდენტის მომხრე თუ მოწინააღმდეგე — ხვალ უთამოშავლოა ერთი სახელით მოიხსენიებს — „ქართველის მკვლელი“.

თბილისი, 24—27 სექტემბერი

სიტყვები, წერილის სათაურში რომ გამოვიტანეთ, 25 სექტემბერს ყოფილი „იმელის“ შენობის წინ მდგარმა ერთმა რიგითმა ახალგაზრდა

ქართველმა კაცმა გვითხრა. მან საკუთარი ვინაობაც დაგვისახელა და სამუშაო ადგილიც, მაგრამ ჩვენ მას დღეს მაინც ასე მოვიხსენიებთ — „ერთი რიგითი ქართველი კაცი“, რადგან ძალიან გვინდა, ის დღეს

ბევრზე ბევრი ქართველის კრებითი სახელი გახდეს, გვინდა მისავით დღეს ბევრი რიგითი ქართველიც და სახელმწიფოს სათავეში მდგომნიც ფიქრობდნენ. აი, რა გვითხრა მან კიდევ: „მე ბარიკადების არც ერთ

მხარეს არ ვდგავარ, მე სიბართლის მხარეს ვდგავარ, სიბართლე კი დღეს ერთი და გერჩა — ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ საქართველო, ქართველი ძმთაველის საუკუნო სირცხვილს გადავარჩინოთ, სწორედ ამას შევთხოვ, ვუმტკიცებ, ვეწინიები ყოველდღე ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგარ ადამიანებს. მე არ ვიცი, მივალწევ თუ არა მიზანს... და თუ ვერ მივალწევთ მშვიდობას, თუ ღმერთი გაგვიწყრად... არ ვიცი, ბარიკადების რომელ მხარეს წამომეწევა ქართველის ტყვია და აბაოლოოდ ვის მკვდრებს მიმათვლიან — პრეზიდენტის მომხრეების თუ მოწინააღმდეგეების, ანდა ამის რა მნიშვნელობა ექნება, იმ ომში ხომ გმირები არ იქნებიან. აი, რატომ მებრალეა ჩემზე მეტად ის ქართველი, ვინც ტყვიას მისვრის...“

მაგრამ ისევ მოვლენების მსვლელობას დავუბრუნდით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან

უკვე ვიცი, რომ საქართველოს სტუდენტობა, მათ შორის თბილისის უნივერსიტეტისაც, ვერ ასცდა ორ ბანაკად დაყოფასა და დაპირისპირებას. 23 სექტემბერს უნივერსიტეტთან პრეზიდენტის მომხრე სტუდენტებმა გამართეს მიტინგი. შემდეგ მთავრობის სახლისკენ დაიძრნენ, სადაც მათ სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა და კანონიერი ხელისუფლების დაცვისაკენ მოუწოდა.

25 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მისულებს ახალი მჯდომარე აქცია და სამშვიდობო ლოზუნგები დაგვხვდა: „ჩვენი აქცია მოწოდებულია დაპირისპირებულ მხარეთა დიალოგისკენ“, „უნივერსიტეტი მშვიდობიანი ალტერნატივის კერაა“, დასასრული მე-4 გვ.



რომან ქარქუსაშვილის ნახატი.



ვახტანგ კუციას ნახატი.

საპარტოლო რესპუბლიკის პანათლეგის საპინისტრო

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ყველა სასწავლო დაწესებულებაში მეცადინეობა დაიწყება 1991 წლის 1 ოქტომბრიდან. გამონაკლისი დიშვევა მხოლოდ იქ, სადაც ამისთვის აუცილებელი პირობები არ არის შექმნილი. ასეთ შემთხვევაში სწავლბ დაწყების თარიღი უნდა დაადგინონ სასწავლებლების საბჭოებმა.

სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვა და დისციპლინის მტკიცე დაცვა პერსონალურად ეკისრებათ სასწავლებლის ხელმძღვანელებს.

ამასთან, სამინისტრო სთხოვს ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციის გაითვალისწინოს სასწავლო პროცესის შეუვალობა და ხელი არ შეუშალოს მის ნორმალურ წარმართვას.



პროზონია

სანიშნოს სტიპენდია

დღევანდელი საქართველოს კრიზისულ მდგომარეობას მთელი სანიშნოს მისახლება გულისტკივილით აღიქვამს და განიცდის. მცირე წარმატებებისაგან თავბრუსხვევა ნაადრევია, წინ, ჯერ კიდევ დიდი და მწელი გზა ძვეს. ამ პოლიტიკურ ორბიტაში ძალზე მწიფე მტრისა და მოყვარვის გარეგანი ამიტომ თავს უფლებას ნუ მივცემთ, რომ ჩვენს გონებას და აზროვნებას ენამ წინ გაუსწროს, ეს, ყველაზე საშიშრობა და დამაშინებელი სენია. ამიტომ, განურჩევლად ყველას ერთნაირად მოგიწოდებთ: ნებით თუ უნებლიედ, ვრის საწინააღმდეგოდ ჩაფიქრებულ ნაბიჯს ნუ გადავდგამთ, შეგერდეთ, სწორედ იმ ერთ ბოროტ ნაბიჯს წინ გადაუდგემოდა საქართველოს იხსნის და ერის საქმესაც წაადგება.

ერთი რამ უკუშარიტებაა, რომ უსამართლო ბრძოლა მუდამ მარცხით მთავრდება. ამიტომ გვჩერა, რომ სულ მალე ყველა ჩაუფიქრდება თავის მოქმედებას, მოძველებული ადამიანული ზელებს დაბლა დაუშვებს და ერთი, მათ აღიარებულ შეცდომას აბატებს. ასე იყო უფრო და ასე იქნება ახლაც. დამოუკიდებელ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას არჩევამ მთელი სინიგლო დიდად აღაფრთოვანა, ახლაც მის მხარს ვუჭერთ, ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ინჟინერ უსლოვილი მოსა როსტიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის საზოგადოების განცხადება (რატომ სპირდება საქართველოს დემოკრატია)

დღევანდელი მწვევე პოლიტიკური კრიზისის საფუძველს წარმოადგენს საქართველოში დამყარებული არადემოკრატიული რეჟიმი, რომლის მხარდამჭერთა ნაწილი, როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების მხრიდან, გულწრფელად სჯერა მისი აუცილებლობის საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს რწმენა, ისევე როგორც თავად რეჟიმის არსებობა, დამყარებულია საქართველოს ისტორიისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების არასწორ ინტერპრეტაციაზე, რაც საფუძველს გაძლევს განვითარებით შემდეგ.

1. დემოკრატიული მმართველობა საქართველოს სტიპენდიის უპირველეს ყოვლისა, ქართველი ერის ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებების გამო, რომელიც საფუძველს წარმოადგენს მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალიზმში, რაც სრულიად მიუღებელს ხდის ნებისმიერი სახის ტოტალიტარიზმის არსებობას საქართველოში. ამის მაგალითს წარმოადგენს კომუნისტური მმართველობის წლები, რომელთა დამოუკიდებელი ზეგავლენა აიხსნება არა მარტო დამოუკიდებლობის დაკარგვით, არამედ მმართველობის ტოტალიტარული ფორმითაც.

2. მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს დემოკრატიული წყობის მნიშვნელოვან უპირატესობას სახელმწიფოს განვითარების საქმეში. დემოკრატიის შეზღუდვის ახსნა საქართველოს დემოკრატიისათვის მომზადების აუცილებლობით არა მარტო უნდა, ვინაიდან დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელების დავიანება და მმართველობის ტოტალიტარული მეთოდების აღორძინება ვერ შეიძლება დემოკრატიული მმართველობის საქართველოში.

3. უკანასკნელ ხანებში მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი განმასხვრეველ პრინციპი გახდა ადამიანის უფლებების დაცვა, რაც საფუძველად უდევს მმართველობის დემოკრატიულ ფორმას. მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი ეს ცვლილება გახდა ერთ-ერთი მიზეზი საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესის დაწყებისა და ერთ-ერთ

ნულ-განმათავსებელი მოძრაობის ფართოდ გამოცხადება საქართველოში. თუკი ყოველივე ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს საკითხი, ბალტიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ ღვას ისე მწვეველ მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების არეში, გასაგები უნდა გახდეს ის უდავო უკუშარიტება, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად გვეჭირდება მსოფლიოს კეთილგანწყობის მოპოვება, ვიდრე ეს სტიპენდიის ბალტიის ქვეყნებს. ხოლო ამის მიღწევის პირობას წარმოადგენს უკუშარიტი დემოკრატიის დამყარება საქართველოში, რაც ცივილიზებული მსოფლიოს თანამეგობრობაში ჩვენი მიღების შესაძლებლობას მოგვცემს. საკითხისადმი ნებისმიერი სხვა მიდგომა გავრცელებული დროით გადასწევს საქართველოს საერთაშორისო აღიარებას.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოში უნდა დამყარდეს უკუშარიტი დემოკრატია; რისი გარანტიც იქნება მმართველობის ისეთი შექმნის შემთხვევაში, რომელიც გაითვალისწინებს პოლიტიკის ქმნალობის პროცესში ყველა პოლიტიკური ძალის მონაწილეობას ამა თუ იმ ფორმით, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოს რესპუბლიკის განვითარებას და მის საერთაშორისო ცნობას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

მოგმართავთ საქართველოს

ცის ქვეშ მოკვრებ ყველა ქართველსა და არაქართველს. ახლა, როცა საქართველო თავისუფლების ზღურბლიდან არის, როცა ჩვენს თვალწინ ინგრევა იმპერია და როცა თავისუფალ და დემოკრატიულ სამყაროს წინაშე საქართველომ თავისი სიტყვა უნდა თქვას, ჩვენი ერთობა და კონსოლიდაცია არა მხოლოდ საქირია, არამედ აუცილებელია; აუცილებელია თანხმობა. კეთილი ვინებოთ და ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნებით არჩეულ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს ამოუვადებთ მხარს. უკანა პაბა-ზე გადავწვიოთ პიროვნული ანტიპათიები და ერთად ვიბრძოლოთ საქართველოს თავსუფლებისთვის. მეტი შენდობა ვიქონიოთ ერთმანეთის მიმართ. ვიქონიოთ ერთმანეთისადმი ადამიანური დამოკიდებულება და თავი დავანებოთ სხვის თვალში ბეწვის ძებნას. კრიტიკა მისასაღებელია, მაგრამ როდესაც მას ახლავს შური, ბოროტი ზრახვები, ეს უკვე კრიტიკა აღარ არის და მას არავისთვის სიკეთის მოტანა აღარ ძალუძს.

ჩვენი ვაჭეთი კვლავაც გაგრილებს მუშაობას საქართველოს ცის ქვეშ მტკიცებრებ ხალხთა კონსოლიდაციისათვის, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის, ამ მიზნების განხორციელებისათვის, საქიროდ მიგვაჩნია ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას თანადგომა, რისთვისაც მაქსიმალურად გამოვიყენებთ ჩვენს შესაძლებლობებს.

ზვიად შერვაშიძე

პროკონული იდეოლოგიის ასოციაციის მიმართვა პართველ ხალხს

დებო და ძმებო! მოგმართავთ საქართველოსთვის მეტად მძიმე კრიტიკულ პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის საფრთხე გვემუქრება.

გთხოვთ, ვითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ 200-წლიანი მონობის შემდეგ ჩვენთან დემოკრატია უცბად ვერ დამყარდება. დემოკრატია მხოლოდ თავისუფალ ქვეყანაში შეიძლება განვითარდეს და მისი განვითარება თითოეულ ჩვენგანზე უფროა დამოუკიდებელი, ვიდრე ხელისუფლებაზე. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ხალხის - იმპოლუტური უმ

რავლესობის ნებას გამოხატავს; მისი დღევანდელი პოლიტიკის ქვეყნებში საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა და აღიარება მსოფლიოს ქვეყნების მიერ. ცხადია, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, არსებობს ხელისუფლების სუსტი მხარეებიც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გარკვეულ ჯგუფს საშუალება მიეცეთ გადააყენოს ხალხის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, ხოლო საქართველოს კვლავ მონობის უღელი დაადგას.

საქართველოს ეროვნული იდეოლოგია ასოციაცია მოგიწოდებთ, რომ გავერთიანდეთ და ყველანი ერთად დავადგეთ ქრისტეს გზაზე; გვიყვარდეს და მივუბრუნოთ ერთმანეთს.

სრულიად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განცხადება

სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი მხარს უჭერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სამშვიდობო ინიციატივას და ვუერთდებით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილე სტუდენტებისა და თანამშრომლების მშვიდობიანი ინიციატივას. შექმნილ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში სრულიად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველი წევრი ყველაფერს გააკეთებს მოსალოდნელი ეროვნული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

მოკუწოდებთ ყველა ქართველს და საქართველოს გულშემატკივარს შემოგვიერთდეს.

რა ჰქნათ, ხალხო?

როდესაც სახზე გვაქვს ორი აშკარად დაპირისპირებული მხარე, თან ამ დაპირისპირებამ დაკარგა მშვიდობიანი სახე, ვადაბაჯა ზღურბლს და მიგვაქანებს სამოქალაქო ომის წყვდიადში, რა ჰქნათ, ხალხო?

მინდა შეგახსენოთ, რომ პოლიტიკის უბრალო ადამიანების ხორცი უყვარს და თანაც საკმაოდ მძორადლო სტრამი აქვს.

იმის გაფიქრებაც მაშინებს, რა შეიძლება მოხდეს, თუ არ იქნა მიღწეული კომპრომისი. ღმერთმა დაგვიფაროს და მე ვერც ვიწარმოებდებოდა, შეტაკება ქართველებს შორის. ჩვენ ხომ ერთმანეთისაგან არავითარ განვსხვავებით? სისხლიც ხომ ერთი გვაქვს? როგორ გავარკვიოთ, ვინ არის "ზვიადისტი" და ვინ არა? ღმერთო ჩემო, ქართველებო, ეს რა გვემართება, რა უცნაური ნიშნით ვიყოფით? დღეს ამ ვითარებაში, ყოვლად გაუმართლებლად მიმდინარე, მტყუან-მართლის ძებნა მიტანებუა.

ხალხის მიერ სტვენითა და ყვირილით უნდა იქნეს ჩანსობილი ის არაფრისმტყუნი, ემოციური განმოსვლები, რომლებიც აღვივებენ საერთო სახალხო ისტერიას. ხალხმა უნდა მოახდინოს დაწოლა ორივე დაპირისპირებულ მხარეზე დიალოგის მოთხოვნით. მიტინგზე ყველანი ირთ შეძახილი უნდა შეიცვალოს მხოლოდ ერთით - დი...ა...ლო...გი!!!

ხალხმა უნდა მოითხოვოს იმფორმაციული ბლოკის მოხსნა. ხალხმა უნდა მოსთხოვოს ორივე დაპირისპირებულ მხარეს კომპრომისზე წასვლა. ჩემი აზრით, კომპრომისი მიღწეულ უნდა იქნას, თუ ერთი მხარე დათანხმდება დიალოგის პირისპირ ეთერში გადაცემაზე, ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას არაფერი არ უნდა ჰქონდეს ხალხისაგან დასამალი, მეორე კი შეიჩეროს პრეზიდენტის ვადადგომის მოთხოვნა, სანამ დიალოგი ნათელს მოჰყვანდეს ყველაფერს.

მეზაბა კაციბაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის განცხადება

9 სექტემბერს პოლიტიკურ მიმართულებათა შორის ურთიერთდაპირისპირებაში სტუდენტთა კოორდინაციის მიზნით პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნა საქართველოს სტუდენტთა-ახალგაზრდობის დროებითი კავშირი, რომელშიც სტუდენტური კავშირის შევიდა.

სტუდენტი-ახალგაზრდობის დროებითი კავშირი გაემიჯნა ორივე მხარეს და მოაწყო რამოდენიმე მიტინგი და საპროტესტო აქცია, რომლებზედაც შედგევი მოთხოვნები წამოაყენა:

1. უცნაური საბჭოს ახალი არჩევნების დანიშნვა;
2. სასწავლო წლის დაუყოვნებლივ დაწყება;
3. პოლიტიკური განათვისუფლება;
4. ადამიანის უფლებების დაცვა;
5. ეროვნული თანხმობის აუცილებლობა;
6. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება.

დაპირისპირებულ მხარეთა მიერ ხისტი, უკომპრომისო პოლიტიკის გატარებამ დაძაბულობა კულმინაციამდე მიიყვანა და 25 სექტემბერს მძათა შორის სისხლისღვრის ფაქტის წინაშე დადგა ქართველი ერი. ამ უკუწოდების დროს, ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა სტუდენტური, სტუდენტური კავშირის წევრი მამუკა გოგობერიშვილი.

სტუდენტური კავშირი რჩება რა თავის პოზიციაზე და დღის წესრიგიდან არ ხსნის ზემოთხაზულ მოთხოვნებს, გმობს დაპირისპირებულ ძალთა ქმედებას და მოუწოდებს ორივე მხარეს ორმხრივი კომპრომისისა და არსებითი შეთანხმებისაკენ. მომხდარის გამო ყველამ თანაბრად უნდა განიჭიროს პასუხისმგებლობა. საქართველო განსაცდელშია და არავისა აქვს უფლება ერთპიროვნულად განსაზღვროს საშუალობის ბედი.

პროკონული იდეოლოგიის ასოციაციის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა და პრეზიდენტმა ვერ შეასრულა მშვიდობიანი გზით ქვეყნის მართვა, რომლის გამოც საქართველო გაიყო ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მანაკად, ქართველთა შორის შეიარაღებული შეტაკების შემთხვევაში, არცერთი მხარე გამარჯვებული არ დარჩება. ამის გამო, მცხეთის შს რაიგანყოფილება უარს აცხადებს მონაწილეობა მიიღოს მძათა შორის სისხლის ღვრაში და მოუწოდებს როგორც შს სამინისტროს მთელ პირად შემადგენლობას, ასევე საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გამოუგზავნონ მცხეთის შს რაიგანყოფილებას თავიანთი წარმომადგენლები, რათა საქართველოში შეიქმნას მესამე ძალა, რომელიც დადგება შუაში ორ შეიარაღებულ დაპირისპირებულ მხარეთა შორის და არ დაუშვებს ქართველთა შორის სისხლის ღვრას, სანამ პარლამენტარული გზით არ მოხდება მშვიდობის დამყარება.

ბ. ზემიძემ,

მცხეთის შს რაიგანყოფილებას პირადი შემადგენლობის სახელით რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი

მიღრა გვიან არ არის!

25 სექტემბერს შევიტყვე შემაძრწუნებელი ამბავი, ქართველმა ქართველზე ადმართა ზელი, დაიდგარა სისხლი, ხუთი ახალგაზრდის სიცოცხლე გამოაქლდა საქართველოს. არ ჰრის გონიერება,

მძღავრობს ამბიციები, ერთულები ჩვენსა სიმწუნაროდ კვლავ მოუწოდებენ კონფრონტაციისაკენ, ქართველის ქართველზე წაქიდებასა და სისხლის ღვრისაკენ. სატირალო ისაა, რომ მათ შორის ბევრი ვაიბედაგოგია, რომელთაც გონება ისე დაბინდვიათ, რომ უმრავლესობის მიერ გზას-აცდენილი უმცირესობის გასრესას ლაშობს. ამ უბედურებას ავიწყნებთ, რომ დემოკრატია სწორედ უმრავლესობის მიერ უმცირესობის დაცვა, შემწყვარებლობა და სწორ გზაზე დაყენება.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს მასშავლედობას, რომ ნუ აყვებიან ემოციებს, გამოიჩინონ წინდახედულობა და გონიერება, სათანადო პასუხი გასცენ პროვოკატორებს, რომლებიც ხელოვნურად აღვივებენ მძათა შორის შუღლს, სთესენ უნდობლობას და ამით ყველა გზას სკრიან პოლიტიკური დიალოგისაკენ.

უმორჩილესად ვთხოვ ბატონ ზვიად გამსახურდიას, როგორც პედაგოგს, პრეზიდენტს, ერისა და მოქალაქეების სიცოცხლისა და სიმშვიდის გარანტს, ყველაფერი გააკეთოს, რათა საქართველო გადაარჩინოს.

ზოგა გურგენიძე,

სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე.

ჩვენც მოგვისმინეთ!

რა გვემართება, რა მოგვცის, რამ გამოგვაშტერა, რამ დავვაჩილუნგა? ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, თუმცა შეიძლება ყველაზე მეტად მე დავჩილუნგდი, ან ვერ ვხვდები ამ სიტუაციის "აუცილებლობას".

მაგრამ იმას როგორ ვერ მიხვდება ნორმალური ადამიანი, რომ მთელი მსოფლიოს თვალში მდინიოები და უზრრები გამოვჩინართ, რომ მთელი ქვეყნის დასაწახად ექმნენთვის უმოწყალოდ ცვემთ და ვსოცავთ, უშვერი სიტყვებით გვანძლავთ, კრემლისა და სუკის აგენტების წოდებებს ვანიჭებთ.

მათლაც სირცხვილი ჩვენი სირცხვილი ყველა იმ დიდაციისა თუ პატარა კაცუნისა, ვისაც პირადი ბოღობისა და ამბიციებისათვის გამოუყენებია ხალხი და ცხვრებივით დაატარებს ლოზუნგებით, პლაკატებით, თვალდაბრუნებით, ძარღვებდაჭიმულნი, საცემრად გამზადებულნი, უშედეგოდ უბტკიცებენ ერთმანეთს რალაციებს...

ყველა პოლიტიკოსი ვახდა, მწველავიცა და მკერავიც... ყველამ ყველაფერი იცის და სჯერა კიდევ საკუთარი ჭკუისა. ყველა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას გაჰყვირის, თუმცა ბევრმა არც კი იცის თავისუფლების ფასი.

ესლა კი მეც თავს უფლებას მივცემ, კატკოროულად მოგთხოვოთ, ერისკაცებო!

იქონიეთ ვაქცომა და გამბედაობა, დასხედით ნებისმიერი ფორმის მაგიდისთან, დაიცვრეთ თქვენი ვნებანი ერისა და ქვეყნის გადასარჩენად, მთელი თქვენი ნიჭიერება და გონიერება ჰქმნიარტად საერო საქმეს მოახმარეთ, თორემ ის "საშუალოდ" მოაზრებენ ხალხი არ ვაბატებთ ამ გაუთავებელ ანგარიშსწორებას, ხალხის ფსიქიკის პარალიზებას, ამდენ უსაქმიანობას.

დროა, მართალ საქმეს ეწიოთ, რამეთუ ისტორია ერის ღალატს არ ვაბატებთ!

ზაად თეაიაშვილი, ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი.

ჩვენც მოგვისმინეთ!

ჩვენც მოგვისმინეთ!

რატომ მოითხოვენ პრეზიდენტის პოსტის გაუქმებას

დღეს უკვე ყველამ იცის, რომ ოპოზიციის მრავალ მოთხოვნათა შორის ერთ-ერთი პირველია პრეზიდენტის პოსტის გაუქმება. ამ მოთხოვნის დაუყოვნებლივ განხორციელებას, სხვათა შორის, ის აღნიშნავს მოთხოვნები: რომლებიც სულ რამდენიმე თვის წინ თავად იურიდენტი კენჭს საქართველოს პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიაში. დიხ, პრეზიდენტობის 5 წლიანი ვადის დასრულებით და კარგად იყოფილი აყენებს პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების საკითხს. ალბათ, დაგვიანებით, რომ ყოველივე ეს რამდენიმე პარადოქსულია, თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ დღეს წესითა და რიგით აღარაფერი არ უნდა გვაკვირვებდეს, და ეს ასეცაა. ვფიქრობ, მრავალი ჩვენი მკითხველი დაინტერესდება და გაეცნობა იმას, თუ რატომ ახალიზებენ და ასაბუთებენ პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატები საქართველოში პრეზიდენტის პოსტის გაუქმების აუცილებლობას. აქვე დავამატებ იმასაც, რომ მართალია, თითოეულ მათგანთან საუბრისას უამრავი ახალი კითხვა იბადებოდა, მაგრამ ყველა მათგანზე პასუხს ცხადია ერთი საგანგებო ფართი ვერაფრით ვერ დავიკავებ. ამდენად, გარკვეულწილად ესაცაა მიზეზი იმისა, რომ მათ მოსაზრებებს ყოველგვარი კომენტარის გარეშე ვთავაზობთ.



ნოდარ ნატაშია — საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, უზენაესი საბჭოს წევრი, ფრაქცია „დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

დღევანდელ საქართველოში პრეზიდენტობის ინსტიტუტის წინააღმდეგ მე მაქვს მოსაზრებები არა რიგი. პირველი ასეთი გახლავთ: დღეს საქართველოში ისეთი ვითარებაა, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება ფაქტობრივად ვერ აკონტროლებს საქართველოს ტერიტორიასაც კი; ე. ი. საქართველოს ხელისუფლება არის

შეურაცხყოფილი, უფლებაზეკეცილი ძალა. იგი არ არის ისეთი ძლიერი, როგორც უნდა იყოს იმისთვის, რომ რეალურად, მთლიანად საქართველოს ხელისუფლება ეწოდოს. მიმაჩნია, რომ უმჯობესია ასეთი არასაბარბილო და შეურაცხყოფილი ვითარება ვერცხვად დავტოვოთ და შევიძინო ტიტულატურის მქონე ხელისუფლება. ე. ი. ვაძინო შეურაცხყოფილი იყოს უზენაესი საბჭოს მიერ არჩეული პრეზიდენტი, ვიდრე ხალხის მიერ არჩეული. ასეთი მოსაზრება მქონდა მისწინა. ამიტომ, გადაწყვეტილი მქონდა სახალხო ფრონტის, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას, საპრეზიდენტო არჩევნების ფაქტზე რეაგირება გამოეხატა არჩევნებში საერთოდ არ მონაწილეობით. დარბაზის სხდომაზე დარბაზის წევრებმა კარგად იყოფილი მომთხოვეს ხელი ამეცინა ამ პოზიციას და წარმოდგინა ჩემი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე. ეს მე შევესარულე და ამას ჩემი სხვა მოსაზრებაც ერთვოდა: მე მიმაჩნდა, და ახლაც მიმაჩნია, რომ როდესაც

ხალხის წინაშე დგება ასეთი სერიოზული არჩევანი, მას უნდა ჰქონდეს საშუალება, რაც შეიძლება ფართო წრიდან მოახდინოს ეს არჩევანი, მას უნდა ჰქონდეს იმის ცნობიერება, რომ რაც აირჩია, აირჩია თვითონ და აირჩია ყველა არსებული შესაძლებლობიდან. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მან არჩევანი გააკეთა იმ სპექტრიდან, რაც მისთვის იყო და არავის არ უნდა ჰქონდეს სათქმელი — არავის იყო ასარჩევი და იმდროინდელი ჩემი ესო. ამიტომ, მე ძალიან დამუწავდი გულს, როდესაც ისეთი პოპულარული პირი იყო, როგორც ვახლავთ ავაკი ბაქრაძე, არ მონაწილეობდა ამ არჩევნებში.

პრეზიდენტობის ინსტიტუტის საწინააღმდეგო კიდევ ასეთი მოსაზრება მაქვს (თეორიულად ამას შეიძლება აღრევი მიგმზდარიყავი, მაგრამ ვერ მივხვდი, სანამ პრაქტიკამ არ დავგანახა): როდესაც ქვეყანაში არ არსებობს ე. წ. საშუალო საზოგადოება, ანუ ისეთი საზოგადოება, რომელიც თავისი ცხოვრებით ყოველდღიურად

ფუნდამენტით, ყველა ძირითადი მახასიათებლებით დამოკიდებულია ხელისუფლებაზე, მაშინ პრეზიდენტობის ინსტიტუტი აუცილებლად ჰქონის ცდუნებას, რომ გადაიზარდოს ერთპიროვნულ, ავტორიტარულ მმართველობაში. სადაც არსებობს საშუალო საზოგადოება (ეს ტერმინი დამკვიდრდა მე-18 საუკუნიდან და ფართოდ იყენებს ჰეგელი) იქ ეს ვერ მოხდება, რადგან ეს საზოგადოება საკუთარი კანონებით ცხოვრობს, საკუთარი კანონზომიერებები აქვს და არ საჭიროებს ზემოდასმულ, დასმულ, ასეთ ვითარებას, გარეგან ძალას რეგულირებისათვის, ამას არც დაუშვებს და არ მოითმენს. იმისათვის, რომ არსებობდეს საშუალო საზოგადოება, აუცილებელია იყოს აღმართული დიდი მასა, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ე. ი. რომელსაც შეუძლია. სახელმწიფო აპარატის სახელმწიფო და ადმინისტრაციული სტრუქტურებისაგან დამოუკიდებლად შექმნას საკუთარი ეკონომიკური წამოწყება, ან თვითონ დამოუკიდებლად გაყიდოს თავისი

სამუშაო ძალა. ამის გარეშე საშუალო საზოგადოება ვერ შეიქმნება. ჩვენთან ეს, როგორც იცით, არ არსებობს. საქართველოს შეუძლია თავს მისცეს ისეთი ფუნქციების უფლება, როგორცაა პრეზიდენტის ყოფილი, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს პრეზიდენტი წმინდა აღმართული განზომილებებით დასრულებული იქნება ცდუნებისაგან, რომ ერთპიროვნულ მმართველად არ გადაიქცეს და დიქტატურა არ განავითაროს.

საქართველო უნდა იყოს საპარლამენტო რესპუბლიკა. პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც შეიძლება გადარჩეულ იქნას ნებისმიერ დროს, დამოუკიდებელი უნდა იყოს პარლამენტზე, პარლამენტი კი ხალხზე. ახლა საქართველოში პრეზიდენტის ისეთი უფლებებია, აქვს, რაც იმ ვითარებაში უნდა იქონიერებდეს. ეს არის ფაქტობრივად ერთპიროვნული მმართველის ინსტიტუტი. თვითონ კანონი, თვითონ სტატუსია მანქონი, გარდა იმისა, რომ პრეზიდენტობა საქართველოში დღეს ზედმეტი ფუნქციონირებს.



თამაზ კავთარაძე

გვუხვარ, მართალი რომ გამოვდები... გვუხვარ, რომ ახლა ვერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებისას წინასწარმეტყველებს ჩემი ცარაუდი — ახლადარჩეული პრეზიდენტი ვერ გაუძლებდა ძალა

ლაუფლების საცდურს, ზოგს, შესაძლოა, ახსოვდეს—საარჩევნო კამპანიის დროს განაცხადებდა: მე არ ვებრძვი პრეზიდენტობას; როცა მოხდეს სასწრაულო ამიერიდან, მეორე დღესვე გამოვაცხადებ ჩემი დღის შეჩვენების საქართველოში ეროვნებათა, პარტიათა და კაცთა შორის, მერე კი გავაუქმებ პრეზიდენტობის ინსტიტუტს—მეთქი.

და უკანონო აქტი — ძალაუფლების უზურპაცია; როგორ გადავუსვით ხაზი ჩვენს ერთადერთ კანონიერ კონსტიტუციას, რომელიც მოქმედებდა დემოკრატიული საქართველოში და რომლის მიხედვითაც საქართველო არ არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

სადღესოდ პარლამენტსაც და მთელმა ერმაც თავი მოკიდებულ წრეში მოვიქცეთ: უკანონოდ დავუკანონეთ ერთ კაცს ყველა უფლება და ახლა ვვინდა კანონიერი, კონსტიტუციური საშუალებებით ამ უფლებათა შეზღუდვა სულსან-საბას ცნობილი არაიყოს გვირგვინი კატამაც კი — ლომის გამზრდელმა კატამ — იცოდეს, რომ რაღაც ხერხი უნდა შემოგახანა თავისი აღზრდილის გენში ჩადებული აგრესიულობის

საწინააღმდეგოდ, და ჩვენმა განათლებულმა პარლამენტმა კი არავითარი იურიდიული ჰეჭანში არ დიქტოვა არამც თუ სხვისი, არამედ საკუთარი თავის დასაცავად; თვით პარლამენტის ყოფილი აპარატის საკითხი პრეზიდენტზე დამოკიდებულად, და როგორც კი თუნდაც მცირე ეჭვი გაუჩნდება პარლამენტური დაუმორჩილებლობის; იგი დაითხოვს პარლამენტს და შემოიღებს საპრეზიდენტო მმართველობას, რითაც სხვათა შორის, არაორაზროვნად უკვე დაგვიწყურდება.

არამედ ზნობრივი; თუ ხელისუფალი დანიხავს, რომ მისმა პოლიტიკამ ჩინში მიიმწყვდია ქვეყანა, ეკონომიკურად დადაბუნა, პოლიტიკურად გარდაცხადანარჩენი მსოფლიოსაგან, ხალხი ერთმანეთს აუშნებდნენ და ფაქტობრივად საშუალო ომის ზღვარზე მიიყვანა, ზნობრივად იგი მოვალეა გადადგეს. იქნებ ეს ცდუნება, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ნაბიჯი ავგაცილებდა შინაომის შემდგომ ესკალაციას. ამ ორიოდ ლლის წინა კი მწამდა — პრეზიდენტი გამოეხატა იმდენ შინაგან ძალას, რომ ხალხისათვის სასიკეთო ამგვარი ნაბიჯი გადაეღა... გადადგება თუნდაც თავისი ღირსების გადასარჩევად.



ირაკლი შენგელია — ქრისტან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე.

ღელ გამოვსვლავს მქონდა, ასე რომ, წინააღმდეგობას ჩემს აღრიდელ გამოსვლებსა და დღევანდელ პოზიციას შორის მე ვერ ვხედავ. შემდეგ მოხდა ასეთი რამ: ამ უფლებამოსილების მქონე პრეზიდენტი ვერ ეტოვდა საპარლამენტო რესპუბლიკის სტრუქტურებში. ამიტომ მოხდა პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევა და არა იმდროინდელი, როგორც მაშინ ბატონმა გამსახურდიამ განაცხადა, თითქოს დემოკრატიის ნიშნისთვის ხდება ესო, არ არის მართალი. ფაქტობრივად მოხდა უდიდესი კონსტიტუციური ცვლილება საქართველოში და ეს ჩაბრუნდა ისევე, როგორც იმდროინდელი საპარლამენტო რესპუბლიკა გადავიდა საპრეზიდენტო მმართველობის რესპუბლიკაში. ამან გამოიწვია ის, რომ დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს ტიპური დიქტატორული სტრუქტურა. დიქტატორის ბოლომდე განხორციელებისა მე არ მწამს საქართველოში, დამოუკიდებელ საქართველოში, თავისთავად, მაგრამ დღევანდელ პირობებში თუნდაც იმდროინდელი ეს დიქტატორი ყოველთვის იქნება მართალი გარეშე ძალებისაგან, რამეთუ ჩვენ ვერ კიდევ არა ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო და ფაქტობრივად ისევ ჩამოშლილი ვართ საბჭოთა კავშირის ერთიან სტრუქტურაში, მართალია იურიდიულად არა, მაგრამ სხვადასხვა ფაქტობრივად. ასე რომ, ამგვარი კონსტიტუციური ცვლილება ითხოვს რეფერენდუმის ჩატარებას. მე მაგალითს მოვიყვან: როდესაც საფრანგეთი — საპარლამენტო რესპუბლიკა იქცა საპრეზიდენტო რესპუბლიკად, ეს მოხდა გენერალ დე გოლის დროს, მაშინ შეიცვალა კონსტიტუცია მთლიანად, ფაქტობრივად, ახალი კონსტიტუცია შემოვიდა. ეს არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

კიდევ ერთი რამეა გასათვლი-სწინებელი: როგორც ჩანს, ამ პროექტების ავტორებმა ვერ გაითვალისწინეს ერთი რამ: ავტორიტარული თუ ტოტალიტარული რეჟიმების შემდეგ ამგვარი უფლებამოსილების მინიჭება ერთი კაცისათვის ყოველთვის იწვევს იმას, რაც მოხდა საქართველოში, და საქართველოში ფაქტობრივად საპრეზიდენტო რესპუბლიკა კი არ ჩამოყალიბდა, არამედ სპეციალური მცენებაც არსებობს — როდესაც პრეზიდენტი არის კანონმდებელიც, აღმასრულებელიც და მოსამართლეს, დაახლოებით ლათინური ამერიკის ქვეყნების სტილში.

კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ იმისა, რომ საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი ამ ფორმით არ უნდა არსებობდეს; როდესაც დამატება ფაქტობრივი რეჟიმის გერმანიაში, გერმანელებმა იფიქრეს, რა სტილის სახელმწიფო უნდა აეგოთ და ააგეს სწორედ საპარლამენტო რესპუბლიკა. ე. ი. ერთ პიროვნებას არ მიანიჭეს სრული უფლება-მოვალეობა, გააწილეს ეს უფლებები, ყველაზე დიდი უფ-

ლება-მოვალეობები მიანიჭეს პარლამენტს. დღევანდელ გერმანიაში პრეზიდენტი არის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური, სხვა ფუნქცია მას არ აქვს.

ჩემთვის საკვებით გასაგებია, რომ სხვა ქვეყნის მაგალითების და სხვა სტრუქტურების მოხიბვა საქართველოში შეუძლებელია იმიტომ, რომ შეიძლება ავიღოთ რამდენიმე საკმაოდ დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციები, შევადგამოთ, რაღაც გადავიწერ-ვადმოვიწეროთ და მივიღოთ ძალიან კუდი კონსტიტუცია. ყველაფერს სჭირდება სოციალური გამოკვლევა, თუ რა მმართველობითი სტრუქტურა გვჭირდება ჩვენ დღეს საქართველოში.

როცა შედგა კანონი, გადაწყვეტილი იქნა მოწვეულიყო დამფუძნებელი კრება, რომელიც აირჩევა და მინისტრთა კაბინეტს და მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევდა პარლამენტი. მხოლოდ შემდეგ მიანიჭეს ნოე ყორანაის პრეზიდენტის უფლებები. ეს იყო საპარლამენტო რესპუბლიკა. ჩვენს დღევანდელი მთხოვნა—გადადგეს პრეზიდენტი და გაუქმდეს პრეზიდენტის პოსტი, იმას ნიშნავს, რომ გავაკვიროთ პრეზიდენტის როგორი ინსტიტუტი იქნება საქართველოში, საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა იქნება თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

მე, პირადად, მომხრე ვარ საპარლამენტო რესპუბლიკისა, სადაც პრეზიდენტი არის ქვეყნის მეთაური, მაგრამ მთლიანად გამავლობა ქვეყნისა აკისრია მინისტრთა კაბინეტს, რომელიც არის განმარტულებულ-აღმასრულებელი, მაგრამ კანონმდებელი არის პარლამენტი. ახ ეს მთელი არის ყველაზე მისაღები დღეს საქართველოში.

ნებისმიერ ქვეყანას ჰყავს ქვეყნის მეთაური, ეს მეთაური უნდა იყოს ან პრეზიდენტი ან მონარქი, ყველაზე ასეა, ასე რომ, როდესაც ვლაპარაკობთ პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებაზე, ვლაპარაკობთ ამგვარი ინსტიტუტის გაუქმებაზე, როგორც ჩვენთანაა, და არა საერთოდ, იმიტომ, რომ ქვეყანას უნდა ჰყავდეს მეთაური.

„საქართველოს რესპუბლიკაში პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფალია. ეს თავისუფლება რესპუბლიკის კონსტიტუციით არის გარანტირებული. საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ.“

კანონი მიღებულია. ჟურნალისტის უფლებები — დაცული. გარანტი სახელმწიფოა და... რუსთაველის პროსპექტზე ერთი ჩვენი კოლეგა მანქანიდან (ბარბაკაძის ფუნქციას რომ ასრულებს) გადმოაგდეს. მიზეზი სულ მარტივია — ასრულებდა თავის ჟურნალისტურ მოვალეობას. მერე კოლეგას ფორთაბარატი დაუმტვრიეს, ხელი დანით დაუსერეს, რომ მეორედ მოსვლის სურვილი აღარ გასჩენოდა. მიზეზი იგივეა. ერთ რადიოჟურნალისტს დიქტოფონი წაართვეს, მეორე იოლად გდარჩა, მხოლოდ კაცებებს კონფისკაციით დაკაპოფილდნენ. ზოგიერთი უცხოელი (მათ შორის ბალტიისპირელი) ჟურნალისტები აპარატურის გარეშე დარჩა, ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამო თბილისში დოლარის ღირებულებების კამერა თავზე გადაამტვრიეს. მიზეზი კვლავ ჟურნალისტური მოვალეობის შესრულება იყო. კანონი არსებობს, ეგზალტირებული მასა კი თვითონ ჭრის და თვითონვე კვრავს. ვილაცას ძალიან არ უნდა სიმართლის თქმა, ხალხის ნერვებს უფრთხილდებიან.

საქართველოში დღეს ომია. ჩვენი ვაზეთი ცდილობს ისეთ პუბლიკაციებს გაუხსნას გზა, რომელიც ქართველთა შორის შორიგებას შეუწყობს ხელს. ბევრს მაინც არ მოსწონს ეს. რეკავენ, წ გვლანძობენ, გვემუქებიან. ბოლოს და ბოლოს, რა უნდათ? ჩვენ განზე გავდგებით. სიტყვა მათ:

უცნობი ქალბატონი ტელეფონით: „დასახური იყავით და კიდევ დაგზურეს. ვის აძლევთ სიტყვას?! პრეზიდენტის მოწინააღმდეგე ტყვეა უნდა დაახლო გულში, თქვენ კი გაზეთში ბეჭდავთ, სურათსაც რომ არ იფიქსებთ, თქვენ...“
 უცნობი მამაკაცი ტელეფონით: რა, მჯავალითაღ, ვისზე რა ნაკლებები ვართ, არ მოგწონთ, რომ ჩამოვდით. დიას, არ წავალთ. ოპოზიციაც ბანდიტები არიან და თქვენც, აბა, გაუმარჯოს... (ხმა წყდება, აღარაფერი ისმის).
 უცნობი ქალბატონი ტელეფონით: ვის უბეჭდავთ წერილებს, ვის? ჭკუის მოუხმეთ, თორემ...
 უცნობი მიქელაძე ტელეფონით: კი მაგრამ, ტელევიზია რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით უტევს, არ გრცხვნიათ? ათქმევინეთ ორივე მხარეს, სინდისი ესაა. თქვენ დაწერეთ, მოგვეცით საშუალება წაგიკითხოთ ყველაფერი. რატომ აღარ გამოდის საქართველოში ვაჭრები. ჩვენ იდუბებოდ გვთვლით და თქვენ ყველაზე ჭკვიანები ხართ? გამორთეთ ის ისტერიული მიტინგები, დავილალოთ... (ტელეფონი მაშინ გათიშა, ჩვენ რა შუაში ვართო, როცა ვაპირებდით თქმას).

განსიამოვნება — სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი: იცით, რა, დღეს დილით „მაიაში“ მოვისმინე ინფორმაცია საქართველოში მომხდარი ქმთააკლის შესახებ, სადაც დაღუპულნი მხოლოდ გვარდიელები დაასახლეს, მილიციელებზე სიტყვაც არ დაუძრავთ. ეს უკვე არანორმალური ვითარებაა, მოსკოვიდან ხომ მხოლოდ დემონსტრაციის უნდა ველოდით და სხვას არაფერს. ამიტომაცაა ტელევიზია დემონსტრაციის სასწრაფოდ ამუშავდება საქართველოში, სადაც სრული და ობიექტური ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საქართველოში მცხოვრებთ, რაც შეეხება მრევლს, ჩემი აზრით, მას ერთი მნიშვნელოვანი მომენტი რჩება მხედველობიდან. აუცილებელია ხალხს აუხსნათ, რას წარმოადგენს პრეზიდენტის ინსტიტუტი, პარლამენტი, საპარლამენტო ფრაქცია და ა. შ. შეიძლება მოვიყვანოთ შეიერთებული შტატების, საფრანგეთის, იტალიის და სხვა დემოკრატიული ქვეყნების მაგალითები. ხალხმა უნდა იცოდეს როგორი სახელმწიფოებრივი მოდელი უკეთესად მისადაგება ჩვენს ტრადიციებს და როგორი საქართველო გვინდა.

პრესაში მომხდარი საქმეების შედეგად



რომან პარკუხაშვილის ნახატი



ეს ფოტო ჩვენმა კორესპონდენტმა მაშინ გადაიღო, როცა ბალტიისპირელი ჟურნალისტი გოგონა ცდილობს განთავისუფლდეს განსაკუთრებული „მზრუნველობისგან“ და გადაარჩინოს დიქტოფონი.

ნანა ლურსმანაშვილი — პედაგოგი: მე მომხრე ვარ თავისუფალი, დემოკრატიული პრესისა, საერთოდ, ჟურნალისტი არ უნდა შეიზღუდოს და ყველაფერი ისე უნდა გაბეჭდოს, როგორც სინამდვილეში ხდება. ალტერნატიული საათი და ალტერნატიული გვერდები უნდა დაეთმოს ოპოზიციასაც, ოღონდ ნამდვილ, განსაზღვრულ ოპოზიციას. მე ასეთ ოპოზიციად არ ვგვლი ჭანტურის, წერეთელს, კიტეხიას, ესენი წმინდა წყლის ტერორისტები არიან. ისე კი, არაკანონიერად მიმანია კანონიერი პრეზიდენტის ლანძღვა-გინება. უცნობის გამოსვლა (არ ისურვა ვინაობის გამხელა): იცით რა, საერთოდ არ გვეჩივრება ისეთი ტელევიზია, მთელს დადევნებს პრეზიდენტს რომ იწყებს და პრეზიდენტს ამთავრებს, არც ის ვაზეთები გვინდა, ცალმხრივად რომ ამუშებენ მიმდინარე მოვლენებს, თუკი ვაზეთი თავისუფალია, რაც პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ახლახან მიღებულ კანონშია, ყველამ უნდა გამოთქვას საკუთარი აზრი და მისი დაბეჭდვა შეძლოს, თუმცა ყველაფერში ზომიერება საჭირო, რომლის ნაკლებობასაც, სამწუხაროდ, განიცდივთ.

ოთარ თეთვაძე — ეკონომისტი: როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია შემოღებული, საერთოდ დროის და ჟურნალ-ვაჭრების ფურცლებზე ადგილების 30% უნდა დაეთმოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, 30% ოპოზიციას, ხოლო 40% უნდა მიეკუთვნოს ჟურნალისტებს, რათა თავიანთი თავისუფალი შემოქმედებით ობიექტურად წარმოაჩინონ არსებული ვითარება. მე მგონი ამდგარი მიდგომა უფრო მიზანშეწონილს გახდის დღევანდელ პრესას.

ბიბა ბახიაშვილი — ინჟინერი, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი: დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პრესა და განსაკუთრებით, ტელევიზია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ქართველი ერი გარკვეულ, გაანალიზებულ და სწორი დასკვნა გამოიტანოს შექმნილი მდგომარეობიდან. ოპოზიციასაც, ეს საპარლამენტო იქნება თუ ე. წ. „ქუჩის ოპოზიციას“, უნდა მიეცეს პრესაში და ტელევიზიაში გარკვეული ადგილი და განკარგულები საათი. ვთქვათ დღემდე ორი საათი ტელევიზიით და ალტერნატიული ერთი გვერდი პრესით.

ჩვენს სოციოლოგიურ ბლიც-ინტერვიუებს აქ ვწმყვებთ, ვინაიდან უეცრად პროსპექტზე მიტინგებიან გამონათავისუფლებული ადამიანთა ერთი ჯგუფის გამოჩენით ხიფათი შეექმნა მამასისხლად ნაციონალური დიქტოფონი.

„ახალგაზრდა ივერიელი“
 P. S. ხმა გაგრძელდა, რომ ზურავენი ვაზეთს „ღრონი“ და მის თანამშრომლებს აპატიმრებენო. ჩვენს არეულ დროში არაფერია გასაკვირი და ამიტომ დავუკავშირდით ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურორის მოადგილეს ელგუჯა მიქაშვიდს და ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგარჩინეთ თავი, როცა ბატონმა ელგუჯამ განდევნა, რომ მსგავსი რამჭორის დონეზეც კი არ გაუშვია. ფაქტი უარყო თბილისის პროკურორის მოადგილემ ნუგზარ გაჩეჩილაძემაც. ასე, რომ, მგონი ჩვენს კოლეგებს ჯერჯერობით არ ეტყენ.

რედაქტორი იბრაჰიმ და იმარჯვენი

პრესაზე დიქტატის მოყვარულებმა ბევრი უსამართლო იმპროვიზაცია გახეი „ქუთაისის“ რედაქტორს ბატონ ალექსანდრე შენგელიას, რის გამოც მან შარშან პროტესტის უკიდურეს ზომას — შიმშილობასაც კი მიმართა. იძულებდნენ მას და მის კოლეგებს, უარი ეთქვა არჩეულ გზაზე — დამოუკიდებელი გაზეთის სტატუსზე. არ ერიდებოდნენ სარედაქციო საქმეებში უხეშ ჩარევას — იმის კარნახს, თუ ვინ უნდა გაეჭრიტყვიებინათ და ვინ არა! ეძებდნენ გზებს ჟურნალისტებსა და საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მოსახდელს, ბოლოს კი სამუშაოდან გაათავისუფლეს. თუ არა დიქტატი, მაშ რა დავა-რქვათ ქალაქის საკრებულოს 1991 წლის 16 აპრილის № 1 გადაწყვეტილებას პრესისა და მასობრივი ინფორმაციის ორგანოების შესახებ, რომელიც ისე გამოიტანეს, რომ წინასწარ ერთი სიტყვათაც კი არავის უკითხავს აზრი საქალაქო გაზეთების „ქუთაისისა“ და „რიონის“ რედაქტორებთან, რედაქციის მუშაკებისათვის, გაერთიანება „მგრილოციოსათვის“, საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირისა და მათი ქუთაისის რეგიონული ორგანიზაციისათვის. რედაქტორის განმარტებას, რომ გაზეთის სტატუსი უშუალოდ რედაქციის საქმეა, პასუხად მოჰყვა

მუქარა, რომ თუ გადაწყვეტილება არ დემორჩილებიან, ჩამოართმევენ პრესის სახლს (არადა, ეს სახლი უშუალოდ გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციის სახსრებით აიგო). რატომ ცდილობენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები, რომ თავიანთი დიქტატს დაუმორჩილონ „ქუთაისის“ ახლა, როდესაც არა მარტო საქართველოში, არამედ ყველაგან, მათ შორის მოსკოვშიც პრესა თავისუფლდება პარტიული და სახელმწიფოებრივი ღმქვემდებარებისაგან და „იზვესტია“ და „პრავდა“ კი დამოუკიდებელი გაზეთები გახდნენ? პასუხი სიძიებელია ქუთაისში შექმნილ საგანგაშო ვითარებაში: მოშლილია საქალაქო მეურნეობა და მრეწველობა, გამეფებულია ანტიანტიკობა, გაუმართავად მუშაობს ტრანსპორტი, კატასტროფულად გიაზარდა მკვლელობათა და სხვა დანაშაულოთა, განსაკუთრებით კი ფულის გამოძალავის მიზნით ადამიანთა გატაცების შემთხვევები... ადგილობრივმა ხელისუფლებამ უყურადღებოდ დატოვა „ქუთაისის“ მკითხველთა და უქმურებელი მუშაკთა, რომელთა ლიც „ქუთაისისა“ და ლანჩხუთის „გურასა“ ბატონის დროს მომხდარი ინციდენტს მიეძღვნა. როგორც ჩანს, სხვადასხვა საქმეებით გა-

დატვირთულები, დროს ვერ პოულობდნენ და არ ესწრებოდნენ ბატონებს. ამის შედეგად არის ის საპარტუხინო ამბავი, რომელიც ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე თბილისის „იბერიასთან“ შეხვედრისას მოხდა... სწორედ ამგვარი ფაქტების მიფუჩეჩების მიზნით ცდილობდა ზოგიერთი მათგანი დამოუკიდებელი გაზეთის სტატუსის შეცვლას. ამ ერთი თვის წინათ კი, მას შემდეგ, რაც სხვადასხვა დაპირებით ვერ მოიხილეს, მუქარით ვერ დააშინეს და დამოუკიდებელი გაზეთი პრეფექტურის ვაზეთად არ გადააკეთა, პრეფექტურამ თანამდებობაზე გამოავისუფლა ვაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი. გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქცია სრულ სოლიდარობას უცხადებს დამოუკიდებლობის სტატუსის შენარჩუნებისათვის პირინციპულად მეტროპოლიტისა და მის რედაქტორს, ბატონ ალექსანდრე შენგელიას, ამასთან, მოხარულია, რომ შესაძლებლობა ეძლევა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის ბატონ როლანდ გილიგაშვილის წერილი ქუთაისის პრეფექტის ბატონ არჩილ კოსტავასა და ქუთაისის პროკურორის ბატონ შალვა კვარაცხელიასადმი პირველმა გაეროს იმ მრავალრიცხოვან მკითხველებს, რომლებიც რედაქციასთან ერთად იბრძოდნენ, რა-

თა გაზეთისათვის ხუნდები არავის დაედო. წერილში ნათქვამია, რომ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, რომელმაც განიხილა ა შენგელიას განცხადება სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, დაადგინა: გაზეთ „ქუთაისის“ გამოცხადება დემოკრატიული დამოუკიდებელ გაზეთად გამომდინარეობს საქართველოს რესპუბლიკის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მოთხოვნებიდან. ქალაქ ქუთაისის პრეფექტურის 1991 წლის 6 ივნისის № 42 განკარგულებით გაზეთ „ქუთაისის“, სარედაქციო კოლექტივის თანხმობისა და ნების გამოხატულების გარეშე, შეეცვალა სტატუსი, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება და გაზეთი „ქუთაისი“ გატარდა რეგისტრაციაში, როგორც ქუთაისის პრეფექტურისა და საკრებულოს ვაზეთი, რითაც აშკარად დაირღვა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის კანონი. ანლიშნულს არ დაეთანხმა გაზეთ „ქუთაისის“ რედაქცია და რედაქტორი ა. შენგელია, რომელსაც მითითებული № 42 განკარგულების დემორჩილებლობისათვის 1991 წლის 30 ივლისს პრეფექტურის № 141 ბრძანებით გამოეცხადა სისტიკი საყვედური პირად საქმეში უტყბინით, ხოლო 1991 წლის 22 აგვისტოს № 117 ბრძანებით... გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. პრეფექტურის მიერ მიღებულ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებს,

როგორც თვით განკარგულებაში და ბრძანებაშია მითითებული, საფუძვლად დაედო სსრ კავშირის 1990 წლის 12 ივნისის კანონი პრესისა და საინფორმაციო საშუალებების შესახებ, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას... შემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვთხოვთ, კიდევ ერთხელ დაუბრუნდეთ მოცემულ საკითხს, გააუქმოთ პრეფექტურის № 177, 141 ბრძანებები, აგრეთვე № 42 განკარგულება და მოქალაქე ა შენგელია ათავისუფლებინათ გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორის თანამდებობაზე, როგორც უკანონოდ განთავისუფლებული. შედეგებზე აცნობეთ განმცხადებელსა და რესპუბლიკის პროკურატურას... გაზეთ „ქუთაისის“ მგალობით, სამწუხაროდ, გამოხატული არ არის. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბევრ რედაქციას წაართვეს დამოუკიდებლობა და მთლიანად თავიანთ დიქტატს დაუმორჩილეს. ვფიქრობთ, რესპუბლიკის პროკურატურის ეს კონკრეტული, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი რწმუნას შემატებს ჩვენს კოლეგებს, რომ მათ უსაფუძვლედ ვერავენ დანაგზავს, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს ღრმად ჩააფიქრებს იმაზე, ღირს თუ არა გათავისუფლდეს უთიერთობა მეოთხე რესპუბლიკისათვის.

პრესა

პრესა



სა და ქვეყანა

ჩვენი ასტროლოგიური პროგნოზი

საქართველოს რესპუბლიკის განვითარების სამართლებრივი სექტორის მიერ დასრულებულია ასტროლოგიური პროგნოზის დასრულება. პროგნოზი შედგენილია 30 სექტემბრისა და 10-17 ოქტომბრისათვის, რადგან 30 სექტემბრისა და 10-17 ოქტომბრისათვის სამოქალაქო ომის საშუალებით, რომელიც გასულ კვირას კოსმოსურად არ იყო „დაგეგმილი“, შეიძლება უკვე „ფეხი აიდგას“. ამ მხარეს ხასხასეები სოციალური კატასტროფები გამოვლინდება რეპრეზენტატივით, ძალმომრეობაში, ანარქიაში.

რაც შეეხება მომავალ კვირას, მთავრობის პოზიცია ისევ ძლიერია, თუმცა ფიქტიურად (გადაწყვეტილებებით და დავებიდან) 3-4-5-რიცხვებში ისევ ერთდებნიან პოლუსები „მოსახლეობა“ + „საფრთხე“. მოსალოდნელი მსხვერპლის ასაცილებლად თავი შეიკავეთ საკომუნ-

დენტო რეჟიმის დარღვევისაგან. ისევ სიფრთხილე მართებს ენობრივ მოქმედებებს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას. ამავდროულად საფრთხეა პოლიტიკური პროცესების განვითარებაში. მინდობს სამართლებრივ კონსტიტუციურ ძალს — „ურთიერთობა საზღვარგარეთთან“ მოდუსი. 30 სექტემბერი კრიტიკული დღეა. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ამ დღეს დასაბამი მიეცეს ან დაფიქსირდეს რაიმე შეიარაღებული კონფლიქტი, რადგან ის გაუთვავილსწინებელი სოციალური ატანტროფის მასშტაბს მიიღებს.

5 ოქტომბრისთვის საქართველოს ტერიტორიაზე დაგროვილი უარყოფითი ენერჯია ტრანსფორმირდება, თავს იჩენს, გარდაიქმნება უარყოფით ბუნებრივ-ეკოლოგიური ენერჯიის წარმოქმნაში (მოსალოდნელია საკმაოდ მკაფიოდ აღსაქმელი ოთხბაობის მიწისძვრის ბიჭი ან სხვა ბუნებრივი ანთროპოგენი კატასტროფები). ბუნება, კოსმოსი ვეღარ იტანს უარყოფითი სოციალური ენერჯიის მოზღვავებს და პასუხობს შესაბამისი რეზონანსული უარყოფითი რეაქციით.

მომავალი კვირისთვის მომავალი მოსახლეობის მოვლადობა ნუ ჩაებმებიან პოლიტიკურ თამაშებში, დაუბრუნდები თავიანთ საქმიანობას, მიანდობს სამართლებრივ კონსტიტუციურ ძალს — გადაწყვეტილებები ჩვენი ქვეყნის ბედი. მათ ხომ, თუმცა ეკონომიკური, მიანც ქვეყანა კოსმოსური. სამართლიანობისა და წონასწორობის აღდგენისკენ მიჰყავთ. მომავალი კვირისთვის გირჩევთ, თუ გაქვთ საშუალება, ისარგებლოთ მეგობრულებით, მიაშუროთ სოფელს, ბუნებას; ჩაიცვათ უბრალოდ, ნუ ეცდებით ტანსაცმლით „გამოყოფას“.

მოსახლეობისთვის მომავალი კვირის კოსმოსური სიმშვიდის მოსალოდნელი სიტუაცია: ოცობის: სათნოებით უსამართლობაზე პასუხი სწორია? მასწავლებელმა თქვა: „მამ სიკეთეს რითიღა მიეუფოთ? სიბოროტეს უნდა გაეცეს შესაბამისად, სიკეთეს კი სიკეთით“.

კონფუცი

გამაშაპ გომომაროვილი

მათა შორის სისხლისღვრის შემდეგ, რომელსაც უნდა გამოვეხებოდეთ და გონზე მოვეუვათ, კიდევ ერთი ახალგაზრდა დაკარგა დედასაქაროველომ. მავანის უბანსხსმეგებლობის თუ დანაშაულის გამო, სრულიად უაზროდ და უმინოთ მოკლეს 23 წლის ვაჟაკი მამუკა გომომაროვილი.

მშვიდ, შრომისმოყვარე, მეგობრებს ერთგულ კაცს რამდენი ოცნება დარჩა აუხლენელი. შეწყდა თავისუფალი სამშობლოს მოლოდინი და ოჯახური ბედნიერებაც. მამუკა არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა. მისთვის საქართველო იყო ერთადერთი სალოცავი ხატი. რა პასუხი უნდა მივცეთ ჯერ სტიქიით, შემდეგ კი შვილის სიკვდილით ძაბვამოსილ მშობლებს, ნათესავებს, ახლობლებს...

ერთი ნუგეში ისაა, რომ გავადრო და 25 სექტემბრის ღამის უკუნში ნათელ წერტილად აკაშკაშდება მამუკა გომომაროვილის შეწყვეტილი სიცოცხლე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საავტომობილო-ავიაგზო უკუღმართის პედაგოგები და სტუდენტები, სტუდენტთა კავშირი.

ორი ვერსია

ყველანი შესძრა დედაქალაქის „თელასთან“ დაღვრილმა სისხლმა. ზოგერთი პოლიტიკოსთა უმეტესობამ კვლავ შეიქირა ქართველთა სიცოცხლე.

თუ რა მოხდა იმ ღამეს, ამის შესახებ იუწყება პრესა, რადიო, ტელევიზია, ოფიციალური ვერსია ასეთია:

„გუშინ ღამით მილიციის საკოორდინაციო შტაბში, სადაც მექალაქში ოპერატიული ჯგუფების მოქმედებას ვხელმძღვანელობ, ჩვენი სამსახურის გადამცემით შეგვაცხადებინეს, რომ დაიწყო თავდასხმა დიდუბის რაიონში ვანის ქუჩაზე მდებარე „თელას“-ს საქალაქო განყოფილების შენობაზე, რომელსაც იცავდა ჩვენი გვარდიის სამხრეთის ბატალიონის ერთი ჯგუფი. მანვე გავცვი განკარგულმა, რომ ნაძალადევის რაიონში მოქმედი ჩვენი ჯგუფი დასაწარმოდა გადამცემი იყო ამ რაიონში და დახმარებოდა შენობის დამცველ გვარდიელებს. ვიდრე ჩვენი მილიციელების ჯგუფი მივიღოდა ადგილზე, ოპოზიციის მოთხოვნით შენობის უკვე მოეხერხებინა შეჭრილიყო შენობაში, საიდანაც გამოდიოდა ავტომობილი იარაღის სროლის ხმა. ჯგუფმა ალყა შემოარტყა შენობას. „თელასის“ შენობაში განლაგებულმა გვარდიელებმა, რომლებიც იცავდნენ „თელასის“ საბულტო დარბაზს, ცეცხლი გაუხსნეს მომხდურთ.

ოპოზიციის ორმოცამდე მოთხოვნით, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ოზურგეთის ე. წ. „გვარდიის“ ოფიცერი ბადრი მახარაძე, ცეცხლი ორივე მხარეს მიმართა. ნიშანდობლივია ერთი გარემოება, რომ რთვორც ადგილზე მყოფი, ისე ჩემთან ერთად აქ მოსული სარეზერვო ჯგუფის მილიციელები ვაჭკუტურად აფრთხილებდნენ ოპოზიციელ მოთხოვნებს, არ დაეღვრათ მძაბრა სისხლი და დაეხებულთიყვენ, ისინი ხელმძღვანელებული, უიარაღოდ მიიწვედნენ მათი მიმართულებით და იძახდნენ:

— ჩვენ არ გვესრით, ბიჭებო,

გონს მოდიოთ, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარეს არ ეყო არც ვაჭკობა და არც ქართველთა და პირდაპირი ცეცხლი გაუხსნა ჩვენს ბიჭებს. ასე დაეკარგეთ ჩვენი ორი შესანიშნავი ვაჭკაცი ბადრი ყივლიაშვილი და სპარტაკ გვანია. მძიმედ დაგვიტყვეს დავით ოდილაძემ და ვია ნატროშვილი, მოთხოვნით მხრიდან დილუბა ორი და დაიჭრა ერთი — ვინე პაატა მასხუღია. აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ ამ ბანდიტური თავდასხმის ყველა მონაწილე მთვრალი იყო.

ეს ვერსია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ ვალერი ჩხეიძეს ეკუთვნის და ის № 187 „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა. ამ ვერსიას ბრინჯი მხარს უჭერს რადიოთი და ტელევიზიით გადამცემული ინფორმაციები. თუ რა არის მასში მართალი ან ტყუილი, ამას ალბათ სამართალდამცავი ორგანოები გაარკვევენ.

ვინაიდან ერთი მხარე „ყოველთვის მართალია, ურიგო არ იქნებოდა მეორე მხარესთვისაც მოგვემინა. ჩვენ სათანადო თხოვნით მივმართეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატს, „თელასის“ შენობასთან მომხდარი ტრაგედიის თვითმხილველს ბატონ გელა ჩორაგოლაშვილს. მან თავი შეიკავა ინფორმაციის მოწოდებისაგან, მაგრამ ორივე სიტყვით მოვიგებო ომის შესახებ თუ რა მოხდა შემდეგ. როგორც მან აღნიშნა, მან ყველაფერს უყურა მეგობრის სახლის აივნიდან. დილთ მას თავზე დაადგა მილიცია, ხელები გადაუჭრინეს და ჩაათრეს პირველ სართულზე, სადაც მხოლოდ მილიციის უფროსის ჩარევამ ალყვეთა ეს ძალმომრეობა დეპუტატზე. როგორც ვიარკვე, ის მხოლოდ ჩვენთვის მისაცემად მიჰყავდათ (?) დეპუტატის მოთხოვნით, ის შეასვედრეს რესპუბლიკის პროკურორს, რომელმაც მიყენებული შეურაცხყოფა შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუა-

ციით ახსნა(?). ბატონი გელას აზრით, შესაძლოა მისი იზოლაცია მოინდომეს სწორედ იმის გამო, რომ ის მოწვეა მომხდარი ტრაგედიის.

მეორე ვერსია, რომლის ავტორი ცაგვარდის პრეს-ცენტრი, გუშინ გამოაქვეყნა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკაში“:

„25 სექტემბერს, დაახლოებით 00-სათ-სა და 30 წუთზე რაიონის საავადმყოფოში მიმავალი ეროვნული გვარდიის მანქანა, რომელიც იმყოფებოდა ქუჩის წყლულისაგან გამოწვეული შინაგანი სისხლის დენის გამო სასწრაფო სტაციონარული მკურნალობისათვის მოსათავსებელი გვარდიის ოზურგეთის ბატალიონის მეთაური ზურაბ აფხაზავა მეუღლესთან, ცოლის დასთან და ორ გვარდიელთან ერთად, წერეთლის გამზირზე წაიწყდა ზუგდიდის ბატალიონისა და ქალაქის „ომონის“ მუშაკთა პატრულს, თბილისის დიდუბის რაიონის „თელასის“ ადმინისტრაციის შენობის მახლობლად. მომხდარის შესახებ რადიოთი შეატყობინეს გვარდიის შტაბს, დასახმარებლად გამოემართა მანქანა ხუთი გვარდიელის შემადგენლობით. იქვე მყოფმა რაიონის მილიციის თანამშრომლებმა ყველაფერი იღონეს, რათა სისხლისღვრა არ მომხდარიყო, მაგრამ ზუგდიდის გვარდიელებმა და „ომონის“ რომელიმე ამა-სობაში დაატყვევა აფხაზავა და მისი მეუღლე, განსენს ცეცხლი, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა ოზურგეთის ბატალიონის ოფიცერი, საშველდ მოსული გონა სალუქვაძე და ფეხში დაიჭრა გვარდიის მეორე ოფიცერი. გვარდიელებმა გახსნეს საბასუხო ცეცხლი, ამასობაში „თელასის“ მოადგილე როგორც ზუგდიდის ბატალიონის მაშველი ძალა ორი სატვირთო მანქანით, აგრეთვე ქალაქის მილიციის თანამშრომლები, რომლებიც კვლავ ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა შეწყვეტილიყო სისხლისღვრა ძალთა უთანასწორობის გამო დარჩენილი ოთხ გვარდიელს მოუხდა ბრძოლის ადგილიდან უკან დახევა, რა დროსაც მათ განაიარაღეს ოთხი „ომონი“.

ოფიციალის განცხადების მიხედვით სულ დილუბა ხუთი კაცი, აქედან ორი გვარდიელი და

სამი მილიციელი. არ ვიცი რა თავდასხმელთა მიერ განცდილი ზარალი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ დაღუპულია მხოლოდ ერთი გვარდიელი გონა სალუქვაძე, მეორე დაჭრილია.

ოფიციალი ცდილობს ეს შემთხვევა მონათლოს გვარდიის „თელასის“ შენობაზე თავდასხმად, რასთან დაკავშირებითაც მოსახლეობის ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტზე, რომ დიდუბის რაიონში მოთავსებული „თელასის“ შენობა არის მხოლოდ ადმინისტრაციის სამყოფელი, შენობაში არ არის მოთავსებული, რაიმე ბულტი, რომლითაც შეიძლება დენის ჩართვა ან გამოთიშვა, ყოველივე ეს შეუძლია შეამოწმოს ნებისმიერ მოქალაქეს... ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა მოითხოვს: შეწყდეს გვარდიის იმ ნაწილებზე თავდასხმა, რომლებიც გადმოსროლილი იქნენ შენობადადან თბილისში ოპოზიციისა და ინტელიგენციის დასაცავად, მოვითხოვთ ვაანთავისუფლონ ზ. აფხაზავა.

შეწყდეს გვარდიელებზე ნადირობა ზუგდიდის ბატალიონის, „ომონის“, დაქირავებული ინგუში მკვლელების და რაიონებიდან ჩამოყვანილი მრგავლი მაგიდის ორგანიზაციების შეიარაღებული წევრების მხრიდან.

პრეზიდენტის ძალაუფლებისაკენ სწრაფვამ და პატრულობა რეობამ, თუკი დავუჭერებთ ოფიციალის მონაცემებს, შეიქირა ხუთი ახალგაზრდა სიცოცხლე. ამ ქვეყნად არც ერთი თანამდებობა არ არის ერთდებელი ერთი ადამიანის სიცოცხლესაც კი.

მოვითხოვთ გადადგეს პრეზიდენტი, დაინშნოს პარლამენტის ახალი არჩევნები, შეწყდეს ოპოზიციური პარტიებზე თავდასხმები, გაუქმდეს ინტელიგენციის წარმომადგენლებზე დაბატონების სანქციები, რაიონების მოსახლეობა დაუბრუნდეს საცხოვრებელ ადგილებს. ამ მოთხოვნების შესრულებისთანავე ეროვნული გვარდია დატოვებს ქალაქს.

გიბა აბესაძე



გიბა შენი თავგანწირული საქციელის შემდეგ აღარ გავციორდებმა საუკუნეებისმიდამდელორქმუნე წმინდანთა თვისებების დაქრება. ამის შემდეგ თაობები თავიანთ შთამომავლებს საკუთარი თვალით ნანახს გადაცემენ; ეტყვიან, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდა სიცოცხლე საკუთარი ნებისა წვარავად დაღო ქვეყნის გადარჩენისათვის.

ჩვენ კი ვერც ერთი თხოვნა ვერ შეგისრულეთ.

„ბაზალითი“ არ განმეორდესო. თუ მსხვერპლია საქირო, დაე, შევიყო საქართველოს გაერთიანების გზაზე უთანასწოლ მსხვერპლიო. ვერ შეგისრულეთ.

ესეც გვაპატიე, ჩვენი დიდებული ვაჟო ჩაინდო!

— „იცო, რამდენი ბიჭი დაებდა წუხელ საქართველოს!“ — ღამენათიე, ვაბადრელი სახით ახმაურებდი ხალხე ოჯახს. ასე ვისარადა ყოველი ახალშობილის მოვლინება.

გოგონები და ბიჭები კვლავაც აუარებელი დაებდა საქართველოს (ღმერთმა უშარავლოს!) ოღონდ ეს უშენოდ მოხდება. და მერე, როცა ეს გოგონები წამოიხიტიბიან თავისუფალ საქართველოში, გაიგებენ, რომ მათი სიცოცხლის ხადარაჯოზე მდგარი ღამაში ვაჟაკის ღამაში სიცოცხლე საკუთარი ნებით დაიფრფლა ხამშობლოს ბედნიერებისათვის.

ჩვენი მატანები შენისთანა თავდადებულთა ცხოვრებაა, ჩემო ვია.

ჩვენ, შენი ახლობლები, მოვალთ იმ წმინდა ადგილას, სადაც შენმა წმინდა ხულმა მარადისობაში ახაფრენად ფრთები აიკეცა, დავანთებთ ნათლებს და ვილოცებთ საქართველოს გადარჩენისათვის, საქართველოს ბედნიერებისათვის. შენ მუდამ იქნები ჩვენი სიჭაღღა — შენი ღმერთი — გამოხედვით, შენი თავდადებით.

უფალმა ხულის ხიმშიდე და გიშკვიდროს, დიდო ბავშვო!

ლორან სომარიძე

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება

(დასასრული)

კებას „ადამონ ნიხასის“ ხელმძღვანელებთან ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დელეგაცია ზურაბ ჭავჭავაძის მეთაურობით. აღნიშნული მოლაპარაკებების ერთ-ერთი შედეგი იყო მიმართვა, რომელიც გამოქვეყნდა ქართულ პრესაში 1989 წლის ივლისში და რომელმაც ვალენტინა დაძაბული ვითარება ზურაბ ჭავჭავაძე ცდილობდა სისხლისღვრის თავიდან აცილებას და სწორედ ეს ბოლო სიტყვე-

ბი ამოიღეს გადაცემული ნაწყვეტიდან. სამწუხაროდ, მან ეს მხოლოდ დროებით შეძლო, რადგან შემდეგ მისი და მერაბ კოსტავას იღვმალეობით მოცული გარდაცვალების შემდეგ ოსურ-ქართული ურთიერთობა სულ სხვა ძალებმა ჩვენთვის არასასურველი მიმართულებით წარმოიქმნა.

ასე რომ, ყალბ კონტექსტში გამოყენებული ჩოჩიყვის სიტყვები სინამდვილეში იმ ობიექტური კუშპირტიბის ასახვას წარმოადგენდა, რომ ილია ჭავჭავაძის სა-

ზოგადოებას მიაჩნდა და მიაჩნია, რომ დაუშვებელია კონფლიქტის გაღვივება ქართველებსა და საქართველოს მიწაზე მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენლებს შორის, რომ ეს მხოლოდ საერთო მტრის წისქვილზე ასხამს წყალს და საქართველოს კუშპირტი დამოუკიდებლობის გზას აშორებს. ამ საკითხისადმი სხვაგვარი მიდგომა შედეგები კი დღეს სახეზეა: გავერანებული სოფლები, მოშლილი მეურნეობა, ათასობით მოკლული და დაჭრილი, ათიათ-

სობით ლტოლვილი და, რაც მთავარია, მთელ მსოფლიოში გატეხილი სახელი, ხელყოფილი ტერიტორიული მთლიანობა.

სწორედ ზემოაღნიშნული გაყალბების მსგავსი დეზინფორმაციები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მათი გადაცემები ქმნიან არაჯანსაღ პოლიტიკურ ატმოსფეროს და ხელს უწყობენ ყალბი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, რაც საბოლოო ჯამში დამღუპველდ მოქმედებს ერის ფსიქიკაზე.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

საბროკერო ფირმა „იკორთა“

ბთავაზობთ მოსახურებას ყიდვა-გაყიდვის სამიანი ბარიბაგების დადგაში

თბილისის უნივერსალურ ბირჟაზე

თუკი თქვენი წარმოება-ორგანიზაცია ეძებს მასალების ბაზრებს, ნედლეულის შექმნის შესაძლებლობებს, სურს გაყიდოს, ან იყიდოს პროდუქცია დიდი პარტიებით და ხელსაყრელ ფასებში, იმოქმედეთ ჩვენი ფირმის მეშვეობით.

საშენი მასალები, საწვავი, ლითონი და ლითონის ნაწარმი, ხე-ტყე, ქაღალდი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ელექტრო-საქონელი, ტექნოლოგიური ხაზები, სხვადასხვა დანადგარები, მინი ქარხნები, ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი და ა.შ. — ჩვენ დაგეხმარებით ყოველივეს ყიდვა-გაყიდვაში.

ტელეფონი ცნობებისათვის: 38-01-25.

მანდილოსანთა საშურადღებოდ!

სამედიცინო კოლეჯი „მასლაძე“ ვთავაზობთ ორსულების დადავების საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოლეჯში „დასტაქარი“, შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძობილობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფენშიმიო-ბა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი დადგენა შეუძლებელია.

გარდა ამისა ლაბორატორია ვთავაზობთ ტოქსოლოგიის, ციტო-მეგალივირუსული ინფექციის, ქლამიდიის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას აღნიშნული ინფექციათა გამოწვევები, გადადინ რა დედიდან მუცლადმყოფ ნაყოფზე. ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშვილბას და ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს.

ჩვენი მისამართი: ვაჟა-ფშაველას 27, რესპუბლიკური

საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება

კოლეჯი „დასტაქარი“

სამუშაო საათები: 10-დან 19 სთ-მდე, შაბათს 12 სთ-მდე.

დასვენების დღე კვირა.

ტელ: 39-57-63

ინფორმაციაპერი-ს სამსახურში

ი მ ე რ ი

1. იმერი - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-საწარმოო კომერციული ფირმა, რომელიც უზრუნველყოფს PC/AT (XT) ტიპის პერსონალური კომპიუტერების ტექნიკურ და სისტემურ ექსპლოატაციას.
2. იმერი - შეიქმნა მატერიალური რესურსების სამინისტროსთან და ამიტომაც მზადაა მოამარაგოს თავისი აბონენტები პერსონალური კომპიუტერებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით.
3. იმერი - ამუშავებს სპეცპროგრამებს.
4. იმერი - ღებულობს წინადადებებს სერვისული ბიუროების. გახსნაზე საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ამისათვის მზადაა მოამზადოს ტექ. პერსონალი ადგილზე.

გვესტუმრეთ, მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, მისამართი:

380077, ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42/2

(მატერიალური რესურსების სამინისტრო, მე-3 სართული)

ტელ: 39-14-77; 95-81-05

აბიტურიენტთა საშურადღებოდ!

ვაშაღებთ აბიტურიენტებს ფიზიკაში.

მაქვს აბიტურიენტებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, სხვა-დასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებში მუშაობის საკმაო პრაქტიკა, მოსალოდნელი ტიპური შეცდომების ანალიზი, კარგი გარანტია აბიტურიენტთა მაღალ დონეზე მოსამზადებლად. ჩაჭრილ აბიტურიენტს მთლიანად დაუბრუნდება გადახდილი თანხა.

- აბიტურიენტს, რომელიც ფიზიკაში მიიღებს ფრიადს (9-10 ბალი), ჯილდოს სახით დაუბრუნდება გადახდილი თანხის 30%.

მეცადინეობა დაიწყება 7 ოქტომბრიდან.

მისამართი: საბურთალოს ქ. 46/2, ბინა 28.

ტელ: 38-89-38.

სასურველია დარეკოთ ან მობრძანდეთ 17 სთ-ის შემდეგ.

ქალბატონებო და ბატონებო!

განწეო ხელი და მანქანა ქორს ხელი და მანქანა ქორს, კონსტრუქციის, სოფელი მეცნიერის, მარამქა გრძელისა და ფარდას ქორს, ბუფებით კრვა, ქა-კრვა-მოდელირების, კლანდია-კლანდია, ფატიბაინოზი და ვიტარაზე დაკრის (თანამედროვე სიმღერები), უცხო ენების სწრაფ შემსწავლელი კურსები ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ქაშური ენები, მუბუჩი ავტომობილის მართვის მონობის მისაღებად სწავლების ხანგრძლივობა 1,5-3 თვეა თორთული და პრაქტიკული მეცადინეობა, როგორც დილის ასევე საღამოს საათებში. ჩვენთან მხოლოდ მაღალ კვალიფიკაციის და პროფესიონალი პედაგოგები თანამშრომლობენ. კურსების დამთავრების შემდეგ მამწელები მიიღებენ მონობას შესაბამის სპეციალებში მუშაობის უფლებით.

მამწელთა რეგისტრაცია ნარობებს მხოლოდ წინასწარ ჩანოთ ფორმს ნარამადგენლობაში ან 1 ოქტომბრამდე.

მისამართი: ლერმონტოვის ქ. №19 (თავისუფლების მოედანიდან) დილის 10 საათიდან 18 საათამდე დასვენების დღეებში შაბათი და კვირა.

ტელ: 93-20-76.

„აბიტურიენტი“ — სასწავლო კოლპერატივი

(მე-5 სასწავლო წელი)

კოლპერატივი ულოცავს თავის აბიტურიენტებს წარმატებას.

კოდნა და საკუთარი ძალების რწმენა — აი ის, რასაც მიიღებს ახალგაზრდა ჩვენთან მომზადებისას. ეს არის კოლპერატივის მთავარი მიზანი.

ჩვენ ვაშაღებთ აბიტურიენტებს ყველა იმ საგანში, რომელიც გათვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წესებით.

პროგრამით გათვალისწინებული მასალის უკეთ ათვისებისათვის მეცადინეობა ტარდება მცირერიცხოვან ჯგუფებში (5-6 კაცი). ჯგუფების დაკომპლექტება ხდება გასაუბრების შედეგად აბიტურიენტთა ცოდნისა და არჩეული პროფილის მიხედვით. გასაუბრება გაიმართება 30 სექტემბრიდან (კვირის გარდა).

მეცადინეობა თითოეულ საგანში ტარდება კვირაში სამჯერ. მეცადინეობის ხანგრძლივობა 2 ასტრონომიული საათია.

სწავლა „აბიტურიენტიში“ იწყება 14 ოქტომბერს და გრძელდება მისაღები გამოცდების დაწყებამდე. გამოცდების პერიოდში აბიტურიენტებს უტარდებათ კონსულტაციები. საჭირო შემთხვევაში კოლპერატივი დაიცავს აბიტურიენტის ინტერესებს საარტენწიო კომისიაში.


მეცადინეობას ატარებენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან მოწვეული მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტები, მეცნიერებათა კანდიდატები. აბიტურიენტებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აუცილებელი პირობაა კოლპერატივიში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

„აბიტურიენტი“ იძლევა მაღალ დონეზე მომზადების გარანტიას და კისრულობს: იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებელში და წარჩინებით ისწავლიან, დაენიშნოს სტიპენდია მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში. არადაამაყყოფილებელი ნიშნის მიღების შემთხვევაში აბიტურიენტს დაუბრუნდება ამ საგანში გადახდილი თანხის ნახევარი.

კოლპერატივს აქვს უცხოური მარკის ასლის გადაღები (ქსეროქსი) დანადგარები, რაც აბიტურიენტებს საშუალებას მისცემს გადაიღონ მომზადებისათვის საჭირო წიგნებისა და კონსპექტების ასლები. სწავლა ქართულ და რუსულ ენებზეა.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზირი, №25. ტელ: 22-60-03.

„აბიტურიენტი“ მუშაობს 18-დან 20 საათამდე.



სამშენებლო ორგანიზაციების საურადღებოდ!

მცირე საწარმო

„კონსტრუქტორი“

ვთავაზობთ ბლოკების დამამზადებელ ვებრდანსაგარს.

წარმოება—300 ცალმდე საათში.

ბლოკის (390X200X175) და-სამზადებლად აღნიშნულ დანად-გარში შეიძლება გამოყენებულ იქნას წიფის, პეშის, ღორღის ან სხვა ცემენტოვანი სარევი.

ტელ: თბილისი 51-75-09 (18.00-21.00 სთ.)

სოხუმი 4-27-92 (ეშპს ქ.№128).

კერძო ამფლობელთა საურადღებოდ

ის მძღოლები, რომლებიც იყენენ გაერთიანებულ კოლპერატივ „საგან“-ში მოსახლეობის მომსახურებისათვის, ვთხოვთ, გამოცხადდნენ მისამართზე: ქ.თბილისი, ბუღაქუშის ქ. №1. 11⁰⁰ სთ-დან 16⁰⁰ სთ-მდე გარდა შაბათ-კვირისა. კოლპერატივის ადმინისტრაცია

ფირმა „არგო“

იწვევს ქ.თბილისში მცხოვრებ კერძო ავტომანქანის მძღოლებს მოსახლეობის მომსახურებისათვის. ჩვენთან გაერთიანებულ მძღოლებს გაეწევათ სხვადასხვა სახის მომსახურება უფასოდ.

მისამართი: ბუღაქუშის ქ. №1. ტელ: 37-58-25, 37-06-64. 11⁰⁰ სთ-დან 16⁰⁰ სთ-მდე.

ხალგაზრდა კერძო

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56;
წერილების განყოფილება — 98-09-49.

გაზეთი გაზეთის კბირაში საგზაო საშუაებათ, სათუაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საშობლოს“ სტამბა თბილისი, შ. კობტავის 14, იბეჭდება ოცხეტური წუნთ ხაგაზეთი კორპუსში ბიშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი

მერაბ გალარჯიანი

რედაქციის მისამართი
ქ. თბილისი — 380096
შ. კობტავის ქ. № 14.